საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის მინისტრი

# ბრძანება N 2-1266

26/12/2019 ქ. თბილისი

**ქ. ბათუმში, შპს „გიო-10“-ის პოლიეთილენის ნარჩენების გადამამუშავებელი და პლასტმასის მილების დამამზადებელი (ნარჩენების აღდგენა) საწარმოს ექსპლუატაციის პროექტზე სკოპინგის დასკვნის გაცემის შესახებ**

„გარემოსდაცვითი შეფასების კოდექსის“ მე-9 მუხლის, ამავე კოდექსის II დანართის მე-10 პუნქტის 10.3 ქვეპუნქტის საფუძველზე,

**ვ ბ რ ძ ა ნ ე ბ:**

1. გაიცეს, ქ. ბათუმში, შპს „გიო-10“-ის პოლიეთილენის ნარჩენების გადამამუშავებელი და პლასტმასის მილების დამამზადებელი (ნარჩენების აღდგენა) საწარმოს ექსპლუატაციის პროექტზე სკოპინგის დასკვნა N135 (20.12.2019წ.);
2. შპს ,,გიო-10“-მა სავალდებულოა გზშ-ის ანგარიშის მომზადება უზრუნველყოს N135 (20.12.2019წ.) სკოპინგის დასკვნის შესაბამისად;
3. ბრძანება დაუყოვნებლივ გაეგზავნოს შპს „გიო-10“-ს;
4. ბრძანება ძალაში შევიდეს შპს „გიო-10“-ის მიერ ამ ბრძანების გაცნობისთანავე;
5. სკოპინგის დასკვნის გაცემიდან 5 დღის ვადაში სკოპინგის დასკვნა განთავსდეს სამინისტროს ოფიციალურ ვებგვერდზე და ბათუმის მუნიციპალიტეტის აღმასრულებელი ან/და წარმომადგენლობითი ორგანოს საინფორმაციო დაფაზე;
6. ბრძანება შეიძლება გასაჩივრდეს თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიაში (თბილისი, დ. აღმაშენებლის ხეივანი, მე-12 კმ. N6) მხარის მიერ მისი ოფიციალური წესით გაცნობის დღიდან ერთი თვის ვადაში.

ლევან დავითაშვილი

მინისტრი